# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№12 (91) 2018


## დასაქმების ფორუმი თსუ-ში

40-ზე მეტმა დამსაქმებელმა კომპანიამ და ორგანიზაციამ თსუ დასაქმების ფორუმის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სტაჟირების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობები გააცნეს.

საბანკო და საფინანსო, დაზღვევის, სამედიცინო და ფარმაცევტულ სფეროებში, მსხვილი სავაჭრო და სადისტრიბუციო ქსელებში, მომსახურებისა და ტურიზმის სფეროებს, სხვადასხვა პროფილის საკონსულტაციო და კვლევით ორგანიზაციებში არსებული ვაკანსიების შესახებ 12 დეკემბერს თსუ სტედენტები მთელი დღის განმავლობაში იღებდნენ ინფორმაციას. კერძო კომპანიების გარდა, ღონისძიებაზე საჯარო სფეროს დამსაქმებლებიც იყვნენ წარმოდგენილი.

„მოლოდინი დიდი გვაქვს თსუ-ის სტუდენტებისგან. თსუ მოწინავე უნივერსიტეტია და შესაბამისად, მის სტუდენტებს ყოველთვის მივესალმებით. მივიღეთ სტუდენტების რეზიუმეები. ამ ეტაპზე გამოცხადებული გვქონდა ანაზღაურებადი სტაჟირებები იუსტიციის სახლში, მათ შორის ხარისხის მართვისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში,“ – ამბობს იუსტიციის სახლის წარმომადგენელი თეკლა ბოჭორიშვილი.



გაგრძელება მე-2 გვ.

## თსუ – „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები“-ს კონკურსის ლიდერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2018 წლის „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები“- ს კონკურსით დაფინანსებული პროექტების ლიდერია. კონკურსში გამარჯვებული 9 პროექტიდან თსუ 6-ში მონაწილეობს (საერთო ნაკადის 67%-ში), აქედან 4-ში, როგორც წამყვანი ორგანიზაცია და 2-ში, – როგორც თანამონაწილე.

## თსუ არქეოლოგები – საერთაშორისო სარბიელზე



უკვე მეორე წელია რაც 6 ოქტომბერს, დღის პირველ საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია ქუთაისიდან ლარნაკაში მიფრინავს. ერთი თვის განმავლობაში ისინი კუნძულ ალამანოსზე ქართულ კვალს ეძებენ.

სამუშაოები თსუ არქეოლოგთა სამწლიანი პროექტის – „ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები უცხოეთში“ ფარგლებში ტარდება. პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა. ექსპედიციის ბირთვი უნივერსიტეტელებისგან შედგება. მის შემადგენლობაში თსუ პროფესორებთან ერთად არიან დოქტორანტურის, მაგისტრატურის და ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტები, ასევე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან მოწვეული ხელოვნებათმცოდნე და არქეოლოგი.

„მიმდინარე წელს გავაგრძელეთ გათხრები სოფტადესის ნაეკლესიარზე. ეს არის პატარა ბორცვი, რომელიც მდებარეობს ლარნაკას დასავლეთით, სანაპირო ზოლში, სადაც ორი წლის წინ ჩვენ მივაკვლიეთ მცირე ეკლესიის ნაშთებს. წელს მთლიანად გაითხარა ეკლესია, მთელი პერიმეტრი შემოიხაზა და

გაგრძელება მე-2 გვ.

## 3000 სტუდენტზე გათვლილი ახალი სტუდენტური ქალაქი



თბილისში 3000 სტუდენტზე გათვლილი ახალი სტუდენტური ქალაქი აშენდება. ამის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მიაწოდეს.

## თსუ კურსდამთავრებული ჩინეთში



***თეონა გელაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიდევ ერთი კურსდამთავრებულია, რომელიც ამ დროისთვის ჩინეთში სამაგისტრო პროგრამაზე წარმატებით აგრძელებს სწავლას. ამის საშუალება თეონას მას შემდეგ მიეცა, რაც შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობაში მაინორის პროგრამა წარმატებით გაიარა. საკუთარ გამოცდილებაზე იგი თავად გვიყვება:***

„დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება. ამავდროულად, მაქვს მაინორიც – შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის.

გვ. 4

## რუსთაველის ფონდის კონკურსში თსუ-ის ახალგაზრდა მკვლევრები ტრადიციულად ლიდერობენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2018 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის ლიდერია.

კონკურსში გამარჯვებული 33 პროექტიდან 12 პროექტი (გამარჯვებული პროექტების 36%) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერებს ეკუთვნით.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი მარიამ მათიაშვილი ერთ-ერთია იმ ახალგაზრდა მკვლევარებს შორის, რომლის პროექტმაც გრანტი მოიპოვა. მისი კვლევა ეხება არგუმენტაციას სამეტყველო ტექსტში.

„ნებისმიერი ტიპის კომუნიკაციისას, იმისათვის, რომ ვინმე დავარწმუნოთ ჩვენი აზრის სისწორეში, საჭიროა გამართული, სწორი არგუმენტაცია. ამის გასაკეთებლად კი მთავარი იარაღი, რა თქმა უნდა, ენაა. ჩემი კვლევისთვის ემპირიულ მასალად შევარჩიე პოლიტიკოსთა გამოსვლების ტექსტები, რადგან ბუნებრივია, არგუმენტირებული ტექსტი უპირველესად ესაჭიროებათ პოლიტიკოსებს,“ – ამბობს მარიამი.

კვლევის იდეა პოლიტიკურ კორპუსზე ( პოლიტიკოსთა გამოსვლების ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც სხვადასხვა ნიშნების მიხედვით არის მონიშნული, მაგალითად, პოლიტიკური

გაგრძელება მე-3 გვ.

## თსუ-ს წარმატება – საერთო ევროპული იმიტირებული პროცესების ჩემპიონატში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის საერთო ევროპული იმიტირებული პროცესის ჩემპიონატში წარმატებით ასპარეზობა ფინალისტის რანგში დაასრულა. აღნიშნული საერთაშორისო სასამართლო პროცესები წელს მესამედ ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო სამართლის თვრამეტმა სკოლამ : ვენის, ბუდაპეშტის, სტამბოლის, ვარშავის და სხვა ევროპული უნივერსიტეტებიდან.

საერთაშორისო სამართლის სტუდენტების გუნდმა ანა ცქიფურიშვილის, ივა ვასაძისა და თამარ ჩხიტუნიძის შემადგენლობით და თსუ-ს საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ლექტორის, დოქტორ საბა ფიფიას მწვრთნელობით, წარმატებით იასპარეზა სამ შესარჩევ რაუნდში.



„გუნდს უწევს დაამუშაოს და განიხილოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის აქტუალური საკითხები. გარდა თეორიული მნიშვნელობისა, მონაწილეობას განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან კომპეტენტური საერთაშორისო ჟიურის წინაშე წარდგომა იურისტს ეხმარება განივითაროს სათანადო უნარ-ჩვევები და მიიღოს გამოცდილება. ჩემპიონატი საკმაოდ შრომატევადი და დატვირთულია, სამ შესარჩევ რაუნდში, მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში ასპარეზობის შემდგომ, ფინალში გასვლა გუნდისაგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს.“ – იხსენებს ანა ცქიფურიშვილი.

მისი თქმით, გუნდის მწვრთნელის, თსუ-ს საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ლექტორის,

გაგრძელება მე-3 გვ.

## განათლება საქართველოში – შანსი დამოუკიდებლად ცხოვრების დასაწყებად

საიდეჰ კარიმიავვალი ირანიდანაა, კერძოდ თეირანიდან. ოთხი წლის განმავლობაში თეირანშივე შახიდ ბახეშტის უნივერსიტეტში სწავლობდა რუსულ ენას. ახლა მედიცინის შესწავლა გადაწყვიტა. წლევანდელი პირველი სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე სწავლობს – ინგლისურენოვანი პროგრამაზე „მედიცინა“ და თსუ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. თავად გვიყვება, თუ რატომ და როგორ შეარჩია სასწავლებლად ჩვენი ქვეყანა და უნივერსიტეტი.

გვ. 3



### ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებითი საღამო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უნივერსიტეტელი პოეტის, ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ღონისძიებაზე თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის თსუ კურსდამთავრებული, პოეტი ვახტანგ ჯავახაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა. საღამო, პოეტის მეუღლის, ნანა ღრუბელაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

საღამო კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, ღონისძიებაზე პოეტის ლექსები წაიკითხეს და სხვადასხვა თემაზე დისკუსია გაიმართა.



### რუსუდან ნიშნიანიძის წიგნის პრეზენტაცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ რუსუდან ნიშნიანიძის ორტომეულის „უცნობი ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი“ პრეზენტაცია გაიმართა. ორტომეული ქართული წარმომავლობის ამერიკელი მწერლისა და მოქანდაკის ჯორჯ-გიორგი პაპაშვილის შემოქმედებას ეხება. წიგნის პრეზენტაციას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, პროფესორები, მოწვეული სტუმრები და სტუდენტები დაესწრნენ.

ორტომეულის ავტორი, რუსუდან ნიშნიანიძე თსუ სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა აშშ-ში ლიჰაის უნივერსიტეტში, სადაც გაეცნო ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების უნიკალურ საარქივო მასალას.

1945 წელს, ჯორჯ-გიორგი პაპაშვილისა და მისი მეუღლის თანაავტორობით დაწერილი წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ბესტსელერად იქცა. წიგნი ითარგმნა მსოფლიოს 17 ენაზე.

### ქართული ენის ხელშეწყობის პროექტი – „ქართულად“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა“ „თიბისი ბანკის“ პროექტს – „ქართულად“ 50 000 წინადადება გადასცა. პროექტი „ქართულად“ მაიკროსოფტის კომპიუტერულ პროგრამებში ქართული ენის ინტეგრაციას ისახავს მიზნად. პროექტის საშუალებით, ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ქართული საზოგადოებისთვის, საქართველოთი დაინტერესებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები კი მარტივად შეძლებენ საქართველოს შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

100 000 წინადადების თარგმნა პირველი ნაბიჯია Windows-ის ოპერაციულ სისტემაში ქართულის ინტეგრაციისთვის. მონაწილეები, რომლებიც გამორჩეული იქნებიან თავიანთი შედეგებით, მიიღებენ პრიზებს თარგმნილი წინადადებების რაოდენობის მიხედვით. „ქართულად“ ღიაა ქართული ენის მხარდამჭერის ყველა მსურველისთვის.



### სკოლის მოსწავლეები თსუ „მომავლის ბიბლიოთეკაში“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზში პატარა მკითხველისთვის „მომავლის ბიბლიოთეკა“ გაიხსნა. ღონისძიებაზე სტუმრად მოსულ დაწყებითი კლასების სკოლის მოსწავლეებს ცნობილი მწერლის ასტრიდ ლინდგრენის ლიტერატურული პერსონაჟები დახვდნენ, გაიმართა ზღაპრების ხმამაღალი კითხვა და სხვადასხვა გასართობი აქტივობები.

„მომავლის ბიბლიოთეკა“ კვირაში ერთხელ მიიღებს ბავშვებს საყვარელი მწერლების სამყაროში.

გაგრძელება მე-4 გვ.

# დასაქმების ფორუმი თსუ-ში

პირველი გვერდიდან



დასაქმების ფორუმში სხვა კომპანიებსა და ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობს ფინანსთა სამინისტროს საჯარო იურიდიული პირის საფინანსო ანალიტიკური სამსახური, რომელსაც გარკვეულ ვაკანსიებზე შეთავაზება აქვს სტუდენტებისთვის. აღნიშნული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიხეილ გვარჯალაძის თქმით, საფინანსო ანალიტიკური სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა და მათი დასაქმებაა.

„დასაქმების ფორუმი ერთგვარ შუამავლის როლს ასრულებს სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და აქ წარმოდგენილ დამსაქმებლებს შორის. ჩვენ სახელმწიფო ორგანიზაცია ვართ, ჩვენი პროფილი არის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და, შესაბამისად, დაინტერესებული ვართ ამ სფეროს სტუდენტებთან გასაუბრებით და მათი დასაქმებით,“ – განაცხადა მიხეილ გვარჯალაძემ.

იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი სოფიო ხოფერია დასაქმების ფორუმზე სიახლეების საძიებლად მოვიდა. ამბობს, რომ იმედები გაუმართლდა და, სამართლებრივთან ერთად, ფინანსურ სფეროშიც აპირებს საკუთარი თავის გამოცდას.

„ამჟამად სტაჟირებას კარგ იურიდიულ კომპანიაში გავდივარ, თუმცა სტაჟირება მალე მიმთავრდება. ამიტომ ვეძებ სიახლეებს სამართლებრივ და ფინანსურ სფეროში. როგორც კერძო, ისე საჯარო ორგანიზაციებთან დავტოვე ჩემი რეზიუმე. მათ შორის „საქართველოს ბანკში“, „ეროვნულ ბანკში“. ძალიან სასარგებლოა მსგავსი ტიპის ფორუმები სტუდენტებისთვის, ფორუმზე ბევრი საინტერესო კომპანია იყო წარმოდგენილი“, – ამბობს იგი.

თსუ ვიცე-კანცლერის ლაშა საღინაძის თქმით, დასაქმების ფორუმს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პერმანენტულად ატარებს. „დასაქმების ფორუმი – არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სერვისი, რასაც ჩვენი უნივერსიტეტი თავის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთავაზობს. ფორუმზე მოსულ დაინტერესებულ პირებს ხვდებათ კონკრეტული შეთავაზებები, ვაკანსიები დამსაქმებლების მხრიდან და იმედი გვაქვს, მათ შეეძლებათ პროფესიის შესაბამისად დასაქმდნენ,“ – განაცხადა ლაშა საღინაძემ.

ორგანიზაციებისა და კომპანიების თქმით, სტუდენტების მხრიდან დიდია დაინტერესება მარკეტინგის, სოციალური მედიისა და ფინანსების სფეროს მიმართულებით. თუმცა, დასაქმების ფორუმზე ქიმიკოსებისა და ბიოლოგებისთვის საინტერესო შემოთავაზებები ჰქონდათ კერძო კომპანიებს. მათ შორის „ნუტრიმაქსს“.

„ჩვენთან სტატისტიკურად ყველაზე მეტი თანამშრომელი თსუ კურსდამთავრებულები არიან. ჩვენი კომპანიის სფეროა სოფლის მეურნეობა. ვაწარმოებთ ცხოველთა და ფრინველთა საკვებს. აქედან გამომდინარე სპეციფიური ტიპის ვაკანსიები გვქონდა. ვეძებდით ლაბორატორის პოზიციაზე თანამშრომლებს, გვაქვს რამდენიმე რეზიუმე ქიმიის, ბიოლოგიის სტუდენტებისგან და მზად ვართ, განვიხილოთ მათი კანდიდატურა“, – ამბობს კომპანიის წარმომადგენელი თამუნა თოიძე.

ქიმიის მიმართულების მაგისტრატურის სტუდენტს, სოფიო ზედგენიძეს დიდი სურვილი აქვს, რომ საკუთარი სპეციალობით დასაქმდეს. „ნუტრიმაქსში“ და „ევექსში“ დავტოვე ჩემი რეზიუმე, მოლოდინი დიდი მაქვს, ვეძებ სამსახურს. ამ ეტაპზე, ლაბორატორიის თანამშრომლის პოზიციაზე გამოვთქვი ინტერესი და ეიჩარს გავესაუბრე. ვნახოთ რა იქნება“- ამბობს სოფიო.

თსუ კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის ხათუნა ცხადაძის ინფორმაციით, დასაქმების ფორუმი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის არა მხოლოდ ახლო მომავალში, გრძელვადიან პერსპექტივაში გამოიღებს შედეგებს. „ფორუმი სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს პირადად შეხვდნენ დამსაქმებლებს, გაესაუბრონ, შეიტყონ რა საკადრო საჭიროებები აქვთ კომპანიებსა და ორგანიზაციებს ან მიმდინარე ან სამომავლო ეტაპზე და რა მიმართულებით შეიძლება განავითარონ საკუთარი უნარები,“ – აღნიშნა ცენტრის ხელმძღვანელმა.



დასაქმების ფორუმმა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ვანო ბუზალაძე თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. ფორუმზე დამსაქმებლებისგან სხვადასხვა შეთავაზება მიიღო. „ჯერ მხოლოდ ორ შემოთავაზებას გავეცანი. ეს შემოთავაზებები სტაჟირებასთან არის დაკავშირებული, რადგან ჯერ უნივერსიტეტი არ მაქვს დამთავრებული და ანაზღაურებად სტაჟირებას ვეძებ. ორივე კომპანიამ ძალიან საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა. ვფიქრობ, ეს ყველაფერი სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია,“ – აღნიშნა სტუდენტმა.

განათლების მეცნიერებების მიმართულების მაგისტრატურის სტუდენტი ოლიკო კილაძე თსუ დასაქმების ფორუმს დიდი ხანი ელოდა. ამბობს,რომ ერთ სივრცეში ათობით კომპანიასთან გასაუბრება და მათი ვაკანსიების გაცნობა საინტერესო, პროდუქტიული და დროში მომგებიანია იმ სტუდენტებისთვის, ვინც სამსახურს სასწრაფოდ ეძებს. „საკმაოდ ბევრ დამსაქმებელს გავესაუბრე, თითქმის ყველას დავუტოვე ჩემი რეზიუმე. იმედი მაქვს, რომ დავსაქმდები. ძირითადად დაინტერესებული ვარ მარკეტინგის მიმართულებით, ასევე ოფის-მენეჯერის და ბუღალტერიის მიმართულებით. იმედია ეს არაჩვეულებრივი ფორუმი რეალური შედეგის მომტანი იქნება,“ – ამბობს ოლიკო.

დასაქმების ფორუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მეხუთედ ჩატარდა.

# თსუ არქეოლოგები – საერთაშორისო სარბიელზე

პირველი გვერდიდან

დადგინდა, რომ საქმე გვაქვს მშენებლობის რამდენიმე ეტაპთან VI საუკუნიდან ვიდრე XVI საუკუნის ჩათვლით. პირველ ეტაპზე ეს იყო სვეტებით დამშვენებული დიდი სამნავიანი ბაზილიკა, ხოლო ჩვენთვის საინტერესო, ანუ ქართველების კვიპროსზე მოღვაწეობასთან დაკავშირებული პერიოდი ამ ეკლესიის არსებობის ბოლო ეტაპია. ეს მეთექვსმეტე საუკუნე გახლავთ. მეთექვსმეტე საუკუნის 70-იან წლებში თურქებმა კვიპროსი დაიპყრეს და შესაბამისად, აქტიური სასულიერო ცხოვრება ქრისტიანულ ეკლესიებში რეალურად შეწყდა. წელს დადგინდა, რომ ეს ბორცვი, რომელზეც ეკლესია მდებარეობს, შეიცავს გაცილებით უფრო ძველ, სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ მასალას. ჩვენ უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ არის ძვ. წ. მე-7; მე-6; მე-5; მე-4 საუკუნეების ნაშთები. ეს არის ე.წ. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ნაეკლესიარის შესწავლით. გარკვეული თვალსაზრისით ამ ეკლესიის ქვეშ არსებული ფენების შესწავლა ჩვენი პროფესიული ვალდებულებაა“, – აცხადებს ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი პროფესორი ვახტანგ ლიჩელი.

ამ ეტაპზე ქართული კვალის არსებობა გათხრების ადგილზე მხოლოდ ისტორიული წყაროებით დასტურდება. როგორც ვახტანგ ლიჩელი ამბობს, სტეფანე ლუზიანიანელის 1580 წელს გამოცემული წიგნის „აღწერილობა კუნძულ კვიპროსისა“ ქრონიკებში ქართველების სამოღვაწეო ადგილად სოფ. ალამინოსის ტერიტორიაა მოხსენიებული. კვიპროსის აღწერაში მოცემულია პირდაპირი მითითება, რომ სოფელ ალამინოსის ტერიტორიაზე არსებობს ქართული ეკლესიები. თსუ არქეოლოგების მიერ განხორციელებული ექსპედიციებისას ერთი ეკლესია თვით ალამინოსში გაითხარა და მეორე ადრე სოფელ ალამინოსის მახლობლად (სოფტადესში). ალამინოსის ნაეკლისიარის გათხრები, რომელიც საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა დააფინანსა, უკვე დამთავრებულია. ამავე ფონდმა აქ საკონსერვაციო სამუშაოებიც დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს სამუშაო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სრული მხარდაჭერით ხორციელდება.

**რა აღმოჩნდა ამ ფენებში და რატომ არის ეს საინტერესო?**

როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელი აცხადებს, კვიპროსზე, როგორც ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გზაჯვარედინზე მდებარე კუნძულზე, დიდი რაოდენობით თავმოყრილია ყველა პერიოდის და სხვადასხვა კულტურის ნაშთები. თსუ-ს ექსპედიციის მიერ გამოვლინდა ე.წ. კვიპროსული გეომეტრიული ხანის შესანიშნავად მოხატული კერამიკული მასალა. საინტერესოა ისიც, რომ ეკლესია მოგებული არის მარმარილოთი, მაგრამ, რიგ შემთხვევებში, გამოყენებულია ე.წ. კონსტანტინოპოლის მარმარილო ანუ შემოტანილი, იგი კვიპროსულ მარმარილოზე მაღალი ხარისხის იყო და მას განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებდნენ.

„ჩვენი ახლანდელი საექსპედიციო მუშაობის დროს კიდევ ერთი საინტერესო აღმოჩენა გავაკეთეთ. მივაკვლიეთ ადგილობრივ წარწერას, რომელიც იშვიათია თვითონ კვიპროსის არქეოლოგიაშიც. ამ აღმოჩენამ ძალიან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და როდესაც იგი ლარნაკას არქეოლოგიურ მუზეუმში ჩავაბარეთ, მაშინვე გვთხოვეს, რომ მიგვეცა უფლება, რათა იგი კვიპროსულ დამწერლობათა კატალოგში შეეტანათ. ეს ნაშრომი ახლა მზადდება გამოსაცემად.

ასე, რომ ეს აღმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანი იყო თვითონ კვიპროსული არქეოლოგიის თვალსაზრისით. გარდა ამისა, აქვე აღმოჩნდა ორი ქანდაკება, ერთი მათგანი, რომელიც მეტ-ნაკლებად სქემატურია, უნდა იყოს აპოლონის ქანდაკება. ასეთი ინტერპრეტაცია მოვახდინეთ ბრიტანეთში დაცული ანალოგიური ქანდაკების მიხედვით. მეორე ქანდაკება, რომელიც გაცილებით ცუდად არის შემონახული, შესაძლოა, დაკავშირებული არის დაკრძალვის რიტუალთან და სტელის ნაწილს წარმოადგენს. მასზე რამდენადმე წაშლილია ფორმები, მაგრამ მაინც კარგად იკითხება მარცხენა ხელზე გადაკიდებული ქიმატიონის ნაშთები, მხრები, მკერდი და ა.შ.“, – აცხადებს ლიჩელი.

ტრადიციულად, ხდება აღმოჩენილი არტეფაქტების სათითაოდ აღწერა, რეგისტრირება, ნომრის მინიჭება, კეთდება ჩანახატი და ფოტო გადაღება, რის შემდეგაც ისინი ლარნაკას არქეოლოგიის მუზეუმში ბარდება. აღმოჩენების დაკონსერვებასა და ექსპედიციის აღჭურვილობის დაბინავებას დაახლოებით ერთი დღე სჭირდება. ყველა სამუშაოს ჩვენი სტუდენტები აკეთებენ. ამის შემდეგ ექსპედიცია უკან ბრუნდება.

კვიპროსული ექსპედიციის დასაწყისშივე პროფესორმა ლიჩელმა კვიპროსის უნივერსიტეტში საჯარო მოხსენება გააკეთა და იქაურ სტუდენტებსაც შესთავაზა თანამშრომლობის დაწყება. კვიპროსის უნივერსიტეტის ვიცე პრეზიდენტმა მას თანამშრომლობის დიდი სურვილი დაუდასტურა, თუმცა ამ დროისთვის ისინი გათხრებში ჯერ კიდევ არ ჩართულან.

“წელს ექსპედიციაში 16 მონაწილე იყო. ფაქტობრივად, ეს გახლდათ კვიპროსზე გადატყორცნილი გრაკლიანი გორის ექსპედიცია. ჩვენს სტუდენტებს იმდენად დიდი გამოცდილება აქვთ, რომ ყველგან, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეუძლიათ მუშაობა. ქართველთა ექსპედიციის გათხრების შედეგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მომავალ წელს ჰოლანდიურ ჟურნალში Ancient Civilization from Scythia and Siberia (გამომცემლობა „ბრილი“) დაიბეჭდება ქართველის სპეციალისტების ვრცელი გამოკვლევა.

„რეალურად, ჩვენმა სტუდენტებმა ამ ერთ თვეში ორი სეზონის საქმე გააკეთეს. ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ – როგორც ზემოთ ითქვა- სიღრმეში ძველი ფენები გამოჩნდა, რომელთა შესწავლა ასევე აუცილებელია და ეს საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა გასაკეთებელი. შეიძლება საინტერესო იყოს ისიც, რომ ჩვენი ექსპედიციის მიერ კვიპროსზე ჩატარებული გათხრის შედეგები გარდა ჰოლანდიისა, მომავალ წელს გამოქვეყნდება, აგრეთვე, პოლონეთში, ვარშავაში“, – ასე აჯამებს კვიპროსზე უნივერსიტეტელი არქეოლოგების მიერ ჩატარებული გათხრების შედეგს ვახტანგ ლიჩელი.

# რუსთაველის ფონდის კონკურსში თსუ ახალგაზრდა მკვლევრები ტრადიციულად ლიდერობენ

*პირველი გვერდიდან*

ტერმინები, მეტაფორები, სარკაზმი და ა.შ. პოლიტიკოსთა ენაში... შედეგად კი შესაძლებელია ამ საშუალებების ავტომატური ძებნა) მუშაობისას გაუჩნდა.

„ჩემი კვლევის მიზანია, გარდა თეორიული ასპექტისა, ვიკვლიო არგუმენტაციის კომპიუტერული დამუშავების შესაძლებლობები, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, აღმოვაჩინო ის ფორმალური/სტრუქტურული საშუალებები, რაც დაეხმარება კომპიუტერს – ხელოვნურ ინტელექტს ავტომატურად ამოიცნოს ტექსტში არგუმენტი,“ – ამბობს მარიამი.

მისი პროექტის ხანგრძლივობა 2 წელია. 2 წლის განმავლობაში კომპიუტერული ტექნიკისა და წიგნების შეძენას აპირებს, ასევე გეგმავს 4 მივლინებას, აქედან ორი ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტში, დანარჩენი ორი კი გულისხმობს, რომელიმე დიგიტალური ჰუმანიტარიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლაზე დასწრებას და საერთაშორისო კონფერენციას.

„ამგვარი კვლევითი გრანტების გაცემისას დიდი ყურადღება ექცევა თემატიკას, რა თემას იკვლევ, საკითხი არ უნდა იყოს მოძველებული და ძალიან ვიწრო, უნდა ჰქონდეს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში განვითარების პოტენციალი. ამავე დროს, პროექტის შეფასების ნახევარი ეთმობა დოქტორანტისა და მისი ხელმძღვანელის რეზიუმეებს – ხდება გამოცდილების, კომპეტენციის და ა.შ. შეფასება.

კონკურსში მონაწილეობა საკმაოდ შრომატევადია, რამდენადაც, გარდა შინაარსობრივად პროექტის ჩამოყალიბებისა, უამრავი საბუთის შეგროვება გიწევს. განაცხადს ასეთი კვლევითი გრანტისთვის ერთ კვირაში ნამდვილად ვერ შეავსებ, 2-3 თვით ადრე უნდა დაიწყო მუშაობა, რადგან დიდი ენერგიასა და დაკვირვებას მოითხოვს. შემდეგ კი იწყება ნერვიულობისა და მოლოდინის ეტაპი, კონკურენციაც საკმაოდ მაღალია. ძალიან მიხარია, რომ ეს შანსი მომეცა. ვფიქრობ, უფრო მეტი ასეთი კვლევითი გრანტები უნდა გაიცეს, თუ გვინდა ჩვენი მეცნიერული ნაშრომების ინტერნაციონალიზება,“- ამბობს მარიამი.

ახალგაზრდა მეცნიერად, კონკურსის პირობების თანახმად, ითვლება დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც დოქტორის ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში. კონკურსის მიზანია დარგში ახალგაზრდა დოქტორის, ნიჭიერი მკვლევარის გამოვლენა და წახალისება, ახალგაზრდა მეცნიერთა აკადემიურ საქმიანობაში ჩართვა.

ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო ხშირად გვხვდება სასამართლოზე წარმოდგენილ სამხილებში აუდიო-ჩანაწერები, რომლებსაც სჭირდება შემოწმება, რათა დადგინდეს მათი აუთენტურობა და მოხდეს მეტყველი პირის იდენტიფიკაცია. თსუ დოქტორანტის მარიამ ნავაძის პროექტი,რომელმაც რუსთაველის ფონდის გრანტი მოიპოვა, სწორედ ამ დარგის სამეცნიერო მხარის განვითარებას უკავშირდება.

„ამ სფეროში საქართველოში არსებული ინტელექტუალური რესურსები ხშირად არასაკმარისია, ამიტომ იწვევენ უცხოელ ექსპერტებს ან უცხოურ ლაბორატორიებში აგზავნიან აუდიო მასალებს ექსპერტიზის ჩასატარებლად. თუმცა, ეს გამოსავალი მაინც არ არის, რადგან ხარისხიანი და სანდო დასკვნისთვის აუცილებელია ექსპერტისთვის ქართული მშობლიური ენა იყოს. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ჩემი პროექტი ხელს შეუწყობს ამ დარგის სამეცნიერო მხარის განვითარებას, რაც პრაქტიკოს ექსპერტებს დაეხმარება მათი საქმიანობის უკეთ წარმართვაში,“ – გვიყვება მარიამი. ამბობს,რომ მის გამარჯვებაში სამმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა იქონია ზეგავლენა.

„პირველ რიგში თემის აქტუალობა, რადგან თანამედროვე სამეცნიერო სივრცე ვერ პასუხობს საზოგადოების მოთხოვნას – მეცნიერულად გამართული მეთოდოლოგიით ჩატარდეს იმ ჩანაწერთა ექსპერტიზა, რომლებიც სამხილების სახით არის ჩართული სასამართლო პროცესებში და რომლებმაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ადამიანის ბედიც კი გადაწყვიტოს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ პროექტის შეფასებაში ჩართულები იყვნენ უცხოელი ექსპერტები, რამაც გაზარდა ობიექტურობის ხარისხი და ასევე მნიშვნელოვნად დამეხმარა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამაგისტრო კვლევის განხორციელების დროს შეძენილი გამოცდილებაც“, – ამბობს მარიამი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქვს კვლევითი ვიზიტები მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიებში, რაც დაეხმარება გაეცნოს ამ სფეროში არსებულ საერთაშორისოდ აღიარებულ მეთოდოლოგიას. მარიამი ფონეტიკური ექსპერტიზის საერთაშორისო ასოციაციის წევრია და დიდი ხანია უნდოდა მათ მიერ მოწყობილ კონფერენციებში მონაწილეობის მიღება.

„ახლა ამის საშუალებას უკვე მაძლევს ჩემი პროექტი. გამარჯვება ნამდვილად რთული იყო, მაგრამ საინტერესო პროცესი. კონკურსში მონაწილეობისთვის საკმაოდ დიდი მომზადება და შრომაა საჭირო. გულწრფელად ვუთანაგრძნობ მათ, ვინც ვერ გაიმარჯვა, რადგან ვიცი რამდენი ენერგია ჰქონდა ჩადებული თითოეულ მათგანს. მათ კი ვინც მომავალში აპირებს მონაწილეობას, ვურჩევ, რომ დედლაინამდე რამდენიმე თვით ადრე დაიწყონ მუშაობა,“ – ამბობს მარიამ ნავაძე.

თანამედროვე საერთაშორისო საენათმეცნიერო საზოგადოება აქტიურად იკვლევს ენას ფუნქციური თვალსაზრისით. თსუ დოქტორანტის, მარიამ რუხაძეც იმ მეცნიერებს შორისაა, რომლებიც გრამატიკალიზაციის პროცესს შეისწავლიან.

„მოგეხსენებათ, დღეს უკვე აღარ კამათობენ ენის დიგიტალური ბაზების შექმნისა და მისი დიგიტალური მეთოდებით დამუშავების მნიშვნელობაზე. 21-ე საუკუნეში მეცნიერთა ძალისხმევა ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და გაუმჯობესებისკენაა მიმართული. პროექტის ფარგლებში შექმნილი ალგორითმი ქართული ენის ეროვნული კორპუსის მუშაობის მექანიზმს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ასევე, კვლევის შედეგი ავტომატური თარგმანისათვის განკუთვნილ კომპიუტერულ პროდუქტებში თავიდან აგვაცილებს საკვლევ ელემენტებთან დაკავშირებულ არასწორი თარგმანის შემთხვევებს. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, კვლევის შედეგები დაგვეხმარება ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში,“ – ამბობს მარიამ რუხაძე.

მარიამის პროექტი განხორციელდება როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერებთან თანამშრომლობით, კვლევის მიმდინარეობისას გათვალისწინებულია როგორც კვლევითი ვიზიტები საზღვარგარეთის შესაბამის ცენტრებში, ასევე, კვლევის შედეგების წარდგენა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ფარგლებში.

„ვფიქრობ, ჩემი პროექტის გამარჯვება, საკითხის აქტუალურობამ და სიახლემ განაპირობა, რადგან არის ხოლმე შემთხვევები, როცა ძალიან კარგი პროექტები რჩება დაფინანსების გარეშე, იმის გამო, რომ საკითხი ნაკლებ აქტუალურად და არაპრიორიტეტულად მიიჩნევა. ძალიან კარგია, რომ პროექტებს უცხოელი ექსპერტებიც აფასებენ და არა მხოლოდ ქართველი ექსპერტები. ჩემს შემთხვევაში, ვფიქრობ, დამეხმარა ფონდთან ურთიერთობის წარმატებული გამოცდილებაც. მოგეხსენებათ, ფონდი აცხადებს მაგისტრატურის კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსს, რომლის ფარგლებშიც წარმატებით შევასრულე სამაგისტრო ნაშრომი და მომენიჭა მაგისტრის ხარისხი“, – აღნიშნავს მარიამ რუხაძე.

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტების კონკურსში საგრანტო პროექტები შესაძლებელია წარდგენილ იქნეს არსებულ ყველა სამეცნიერო მიმართულებებში: (ქვე-მიმართულებები გაწერილია სპეციალური კლასიფიკატორით) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები, აგრარული მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

2018 წლის კონკურსის პირობების თანახმად, წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს ორი წელი. ერთი საგრანტო პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს წელიწადში, 60 000 ლარს – ორ წელიწადში.

ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერა მოიცავს: ა) ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდიას, ბ) კვლევითი საქმიანობის ხარჯებს: მათ შორის, დამხმარე პერსონალის ანაზღაურების ხარჯებს; საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯებს; პროფესიული ლიტერატურის შეძენის ხარჯებს; სამეცნიერო ღონისძიებისა (კონფერენცია, კონგრესი, ვორკშოპი, ტრენინგი და სხვა) და/ან კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯებს; პროფესიული ასოციაციის წევრობის ხარჯებს; კომპიუტერული და კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯებს, საჭიროებისამებრ. არის საშუალება ახალგაზრდა მეცნიერმა დაიფინანსოს კვლევის შედეგების პრეზენტაციის ხარჯები (მოიცავს სტატიის/ მონოგრაფიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს).

ფონდის პირობების თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით, გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია ინგლისურ ენაზე საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, საკონფერენციო კრებულები და წიგნები, რომლებიც ინდექსირებულია შემდეგ რეიტინგულ ბაზებში: Scimago Journal Ranking, Scopus, Web of Science, ERIH plus, ასევე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გამოცემული საერთაშორისო რეფერირებადი და ციტირებადი ჟურნალები: Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (ა. რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები) და Annals of Agrarian Science (აგრარულ მეცნიერებათა მემატიანე).



**მარიამ მათიაშვილი**



**მარიამ რუხაძე**



**მარიამ ნავაძე**

# თსუ-ს წარმატება საერთო ევროპული იმიტირებული პროცესების ჩემპიონატში

*პირველი გვერდიდან*



დოქტორ საბა ფიფიას მიერ მოსამზადებელი ეტაპის სწორად წარმართვამ და გუნდის ადგილზე მობილიზებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა წარმატების მიღწევაში. გუნდს კომპეტენტური საერთაშორისო ჟიურის წინაშე მოუწია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის ისეთ აქტუალურ და ახალ საკითხებზე მსჯელობა, როგორიცაა ავტონომიური იარაღის გამოყენების კანონიერება, კიბერ შეტევა, ომის დანაშაულები და სხვ. გუნდი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ დაკომპლექტდა – შესარჩევი კონკურსის შედეგად.

„როგორც ცნობილია, საერთაშორისო სისხლის სამართალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ლტოლვილთა სამართალი დამოუკიდებელი დისციპლინების სახით ისწავლება თსუ-ში. ამდენად, ისეთი საკითხების განხილვაში, როგორებიცაა ომის წარმოების მეთოდები, ავტონომიური იარაღის გამოყენების კანონიერება, კიბერშეტევა, ლტოლვილთათვის სტატუსის მინიჭება, იძულებით გადაადგილება, ლტოლვილთა გადანაწილების სქემები, უკან გაძევების დაუშვებლობის პრინციპი, ომის დანაშაულები და სხვანი, თსუ-ში მიღებული ცოდნა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა,” – ამბობს ანა ცქიფურაშვილი. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, გაერო-ს უმაღლესი კომისარიატი ლტოლვილთა საკითხებში, სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლო და ლუბლიანას უნივერსიტეტი. შეჯიბრის საერთაშორისო რაუნდებს 2018 წლის 20-25 ნოემბერს ლუბლიანას უნივერსიტეტმა (სლოვენია) უმასპინძლა.

# განათლება საქართველოში – შანსი დამოუკიდებლად ცხოვრების დასაწყებად



საიდეჰ კარიმიაველი ირანიდანაა, კერძოდ თეირანიდან. ოთხი წლის განმავლობაში თეირანშივე შახიდ ბახეშტის უნივერსიტეტში სწავლობდა რუსულ ენას. ახლა მედიცინის შესწავლა გადაწყვიტა. წლევანდელი პირველი სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე სწავლობს – ინგლისურენოვანი პროგრამაზე „მედიცინა“ და თსუ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. თავად გვიყვება, თუ რატომ და როგორ შეარჩია სასწავლებლად ჩვენი ქვეყანა და უნივერსიტეტი.

### *პირველი სირთულეები*

4 წლის განმავლობაში რუსულს ვსწავლობდი, ახლა გადავწყვიტე ექიმი გამოვიდე. გასულ წელს ჩემი უნივერსიტეტი დავამთავრე. თეირანშივე ვეძებდი ქვეყანას, სადაც სწავლის გაგრძელებას შევძლებდი. არჩევანი რუსეთს, სომხეთსა და საქართველოს შორის უნდა გამეკეთებინა. იმის გამო, რომ რუსეთში ძლიერ სიცივეებს ვერ გავუძლებდი, უკვე სომხეთსა და საქართველოს შორის ვფიქრობდი არჩევანის გაკეთებას. როგორც ვიცი უნივერსტეტს მაშინ არ ჰქონდა საერთო საცხოვრებელი. არადა, საერთო საცხოვრებელში უნდა დავრჩენილიყავი, რადგან აქ უფრო დაბალი გადასახადია, ვიდრე რომელიმე ბინის ქირაობისას მექნებოდა. ის იყო სომხეთის არჩევას ვაპირებდი, რომ თქვენს ვებ-გვერდზე კამპუსის შესახებ აღმოვაჩინე ინფორმაცია. დავრეკე მითითებულ ნომერზე და გავარკვიე რომ საცხოვრებლით დამაკმაყოფილებდნენ.

საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტე, რადგან, რამდენადაც ვიცი თსუ საქართველოში საუკეთესოა. სადღაც 6-ჯერ მომიხდა ჩამოსვლა. ეს იყო ჩემი მეორე დიდი პრობლემა, ნიშნები. თავიდან უნდა ჩამოხვიდე და ათარგმნინო საბუთები, მერე ჩამოხვიდე და მიიტანო ხარისხის ეროვნულ ცენტრში, მერე მიიტანო უნივერსიტეტში... ამ ყველაფერს დრო სჭირდება. მე კი 50 დღე აქ დარჩენა არ შემეძლო. უნდა გადამეხადა ფული სასტუმროში, ბილეთებში, ტაქსში და სხვა.

როდესაც რამეს ვკითხულობ უნივერსიტეტის საიტზე, კითხვაზე პასუხი არ არის. რამდენჯერმე მქონდა მცდელობა რაღაც კითხვებზე მიმეღო პასუხი, საბოლოოდ თაკო ენუქიძემ მედიცინის ფაკულტეტიდან მიპასუხა. ყველა საჭირო ინფორმაცია უნდა იყოს საიტზე, რაც ასე არ არის. უნდა ვრეკო და ვაზუსტო რაღაც საკითხები. რუსული რომ არ მცოდნოდა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელშიც გამიჭირდებოდა კომუნიკაცია. მითხრეს, რომ თუ დროზე არ დავრეგისტრირდებოდი, კამპუსში საცხოვრებლად, ვერ მოვხვდებოდი. როდესაც ზაზა წაქაძემ (საერთო საცხოვრებლის ხელმძღვანელი) რეგისტრაციისთვის დამიძახა, ნახეს რეგისტრაციის საშუალება არ მქონდა. საკითხის დასაზუსტებლად ჩემს ფაკულტეტზე გადარეკა, მერე ვიღაც ქალს დაურეკა, იმან კიდევ სადღაც და მითხრეს, რომ შეცდომა დღის ბოლოსთვის გამოსწორდებოდა

*გაგრძელება მე-4 გვ.*

### კულინარიული ტურიზმი



კურსიგანკუთვნილიანებისმიერი დაინტერესებული პირისათვის და მისი მიზანია მსმენელებს გააცნოს გლობალიზაცისდა გლოკალიზაციის გავლენა კულინარიული ტურიზმის განვითარებაზე; შეასწავლოს ტრაპეზის არსი და ტრაპეზისკულტურა,მისიმნიშვნელობასხვადასხვა რელიგიური რწმენისა და კულტურის ადამიანებისათვის; კვების კულტურისსაკითხები ბიბლიის მიხედვით; შეასწავლოს კულინარიული ტურიზმის პოპულარიზაციის ინსტრუმენტები, მისი სეგმენტაციადა სახეები; კულინარიული ტურიზმის ტიპოლოგია; გააცნოს ყველის და ღვინის ფენომენი ტურიზმში,ქართულიყველისდაღვინისფენომენი და მათი საერთაშორისო პოტენციალი; გააცნოს ქართული გასტრონომიული კულტურისგანვითარების გზები, ქართული გასტრონომიული კულტურა, როგორც შეუსწავლელი სფერო; ქართული სამზარეულოსმთავარი ნიშანი, ქართული სუფრის ფენომენი , რიტუალური კერძები ქართულ სამზარეულოში.

სამიზნე ჯგუფი: ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელსაც აქვს აღნიშნული მიმართულებით ცოდნის მიღებისსურვილი, როგორც მომხმარებელს ( ტურისტს) და როგორც მწარმოებელს (კულინარიული ტურიზმის ბიზნესი) ასევე,გიდებს, კვებითი მომსახურების სფეროს წარმომადგენლებს და ა. შ.

ტრენერი: დალილა ცატავა
კურსის მოცულობა: 18 საათი
სწავლების ენა: ქართული
კურსის ღირებულება: 250 ლარი

### სურსათის უვნებლობა და საინსპექციო კონტროლი



კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: კურსის სამიზნე ჯგუფს შესაძლოა წარმოადგენდნენ როგორც დიპლომირებული, ასევე ზოგადი განათლების მქონე პირები, ან მომიჯნავე პროფესიების ადამიანები, რომელთაც თავიანთი საქმიანობიდან ან სამომავლო პერსპექტივებიდან გამომდინარე აქვთ დაინტერესება აღნიშნული პროგრამის გავლისა ან/და საჭიროებენ დაადასტურონ თავიანთი კომპეტენციები სურსათის უვნებლობის სფეროში.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. დამატებითი მოთხოვნაა-მინიმალური ასაკი 18 წელი.

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები: კურსის მიზანია მოამზადოს სურსათის უვნებლობის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ შეაფასონ სურსათის უვნებლობის უზრუნველმყოფი ძირითადი ფაქტორები და პრინციპები და განახორციელონ საინსპექციო კონტროლი სურსათის მიმოქცევის სხვადასხვა ეტაპზე.

კურსის გავლის შემდეგ მსმენელი შეიძენს:

1. ცოდნას სურსათთან ასოცირებულ საფრთხეებზე; სურსათის უვნებლობის უზრუნველმყოფ ძირითად საკანონმდებლო მოთხოვნებზე; სურსათში ნორმირებას დაქვემდებარებულ ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოლოგიურ ფაქტორებზე; სურსათის ხარისხსა და ხარისხის მართვის ინსფრასტრუქტურაზე; სხვადასხვა ჯგუფის სასურსათო პროდუქციის პრიორიტეტულ დამაბინძურებლებზე და მათი წარმოებისა და გადამუშავების თავისებურებებზე; სურსათის უვნებლობის სფეროში მოქმედ ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ უფლებამოსილებებზე; სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე სისტემებზე; სურსათის ბიზნეს-ოპერატორებზე კონტროლის განხორციელების ფორმებსა და მეთოდებზე.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს: მსმენელი შეძლებს მიღებული ცოდნა სურსათის უვნებლობის შესახებ, სურსათის უვნებლობაზე საინსპექციო კონტროლის განხორციელების წესისა და პროცედურების, ასევე სურსათის უვნებლობაზე საინსპექციო კონტროლისას განსახორციელებელი გამოკვლევებისა და შემოწმებების შესახებ გამოიყენოს პრაქტიკაში და განახორციელოს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს-ოპერატორების საინსპექციო კონტროლი.

3. შეფასებისა და დასკვნის უნარს: შეძლებს შეაფასოს სურსათის ბიზნესოპერატორის ფაქტიური მდგომარეობის დადგენილ ან ზოგად მოთხოვნებთან შესაბამისობა, ამოიცნოს კრიტიკული და არაკრიტიკული შეუსაბამობები და მათი გამომწვევი ფაქტორები, ბიზნეს-ოპერატორს მიაწოდოს შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები.

4. სწავლის უნარს: მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

5. კომუნიკაციის უნარს: შეეძლება კომუნიკაციის დამყარება ბიზნეს-სუბიექტებთან, ამ სფეროში მოღვაწე და დაინტერესებულ სუბიექტებთან; ასევე შეიძენს სხვისი საუბრის მოსმენის, გააზრებისა და საჭიროებისას დაზუსტების უნარს, თავის საქმიანობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარს.

კურსს უძღვებიან:

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი გიორგი მიქაძე

თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან დადიანი

კურსის მოცულობა: 87 საკონტაქტო საათი.

კურსის ღირებულება: 300 ლარი.

### კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის




სასერტიფიკატო კურსი განკუთვნილია სოციალურ მეცნიერებებში და მარკეტინგის სფეროში ჩართული ადამიანებისათვის, ვისაც შეიძლება შეხება ჰქონდეს რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, ანალიზთან ან უხდებოდეს მზა რაოდენობრივი მონაცემების გამოყენება. ამ კურსის გავლა ასევე სასარგებლო იქნება სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვისაც, რადგან მათ უღრმავებს რაოდენობრივ მონაცემებთან მუშაობის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ, როგორც სწავლის პროცესში, ასევე შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში.

იმისთვის, რომ მსმენელმა შეძლოს მოცემული სასწავლო პროგრამის ათვისება იგი უნდა ფლობდეს კომპიუტერთან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევებს, ასევე უნდა შეეძლოთ მარტივი მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა საშუალო არითმეტიკულის და პროცენტის გამოთვლა.

სწავლების ენა: ქართული.

კურსის ხანგძლივობა: 24 საათი (18:00 საათის შემდეგ)

კურსის ღირებულება: 400 ლარი

თსუ-ის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის - 200 ლარი.

# თსუ კურსდამთავრებული ჩინეთში

**პირველი გვერდიდან**

ამჟამად ვსწავლობ მაგისტრატურაზე ქალაქ პეკინში, ჩინეთში. საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე. აქ ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ჩინეთისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების პოლიტიკაზე. აღნიშული პროგრამით ჩინეთის სამთავრობო სტიპენდია ყოველწლიურად გათვალისწინებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. კონკურსი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე ცხადდება. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში ვსწავლობ მაგისტარატურის საფეხურზე, ორწლიანი პროგრამით. სწავლის, საცხოვრებლისა და ყოველთვიური ხარჯები ჩინეთის მთავრობის მიერ იფარება.



აღნიშნული კონკურსის შესახებ სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაინორად შორეული აღმოსავლეთს რეგიონმცოდნეობის არჩევისას, ჩვენი ლექტორების ნანა გელაშვილისა და ნინო ბრეგვაძისგან გავიგე. ამით მათ ჩვენ გარკვეული მოტივაციაც მოგვცეს, ჩინური ენის კარგად დაუფლებისა და შესაბამისი საგნების გავლის თვალსაზრისით. კონკურსში მონაწილეობა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც გარკვეულ დონეზე დავეუფლე ჩინურ ენასა და უფრო მეტი შევიტყვე ჩინურ კულტურასა და ისტორიაზე. ეს ყველაფერი კი ისე შემოიჭრა ჩემს გონებაში და ისე მომაჯადოვა ჩინეთმა, რომ სხვა გზა არ იყო, ბედი უნდა მეცადა.

### ჩინეთი როგორც მეორე სახლი და ქართველები პეკინში

ყოველთვის ვცდილობდი აკადემიური მოსწრება მაღალი მქონოდა, ვინაიდან მსგავს კონკურსებში ამას საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა. საკმაოდ დიდხანს ვწერდი სამოტივაციო წერილს, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რაც მთავარია, მქონდა ჩინური ენისა და ინგლისური ენის სერტიფიკატები, რომელიც ენის ცოდნის დონეს ასახავდა. გასაუბრებაზეც, რომელიც ინგლისურ და ჩინურ ენებზე ტარდებოდა, ვეცადე მაქსიმალურად მომზადებული მივსულიყავი. საბოლოოდ ჩემმა მონდომებამ შედეგი გამოიღო და ჩინეთში სწავლის გაგრძელების შანსი მომეცა.

სტიპენდიის მოპოვების შემდეგ, უნივერსიტეტი ჩემს ლექტორებთან კონსულტაციით შევარჩიე. ამ კონკურსში გამარჯვება ჩემთან ერთად ექვსმა შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მაინორის სტუდენტმა მოახერხა, რაც ჩვენი მაინორის მწირი რესურსების პირობებში საქმაოდ დიდი მიღწევაა.

ენობრივი ბარიერი და ახალი გარემო ჩემთვის პრობლემა არ ყოფილა. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში 2016-2017 წლებში ვიმყოფებოდი ქალაქ ხანჭოუში, ენის პროგრამაზე. პეკინში მანამდეც ნამყოფი ვიყავი, ამიტომაც გარემოსთან ადაპტაცია არ გამჭირვებია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩინეთი ჩემთვის მეორე სახლია.

ჩემს უნივერსიტეტში ჩემს გარდა კიდევ ორი ქართველი სტუდენტია. ერთ-ერთი, სალომე იენას უნივერსიტეტიდან (გერმანია) გაცვლითი პროგრამით იმყოფება ერთი სემესტრი, ხოლო რაც შეეხება მეორე ქართველს, გიორგის, მაგისტრატურატურის მეორე კურსზე სწავლობს. ჩვენ ერთმანეთთან საკმაოდ ახლო კონტაქტი გვაქვს, დავმეგობრით და ხშირად სხვადასხვა ადგილებშიც სულ ერთად დავდივართ. გარდა ამისა, ისე მოხდა რომ წლევანდელი სტიპენდიანტი თსუ-ელები ყველანი პეკინში აღმოვჩნდით, ამიტომ ერთმანეთის მონატრებისათვის არ გვცალია, იმდენად ხშირად ვხვდებით ერთმანეთს.

### საუკეთესო გადაწყვეტილება ჩემს ცხოვრებაში

ჩემი კვლევის არეალი ძირითადად ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთს უკავშირდება. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ჩინეთში მაგისტრატურაში სასწავლებლად წამოვსულიყავი. გამეგო აქაური ხედვები და შემესწავლა აქაური მკვლევრების ნააზრევი.

სამომავლოდ დოქტორანტურაში ჩაბარებას და აკადემიურ საქმიანობას ვგეგმავ. ვფიქრობ, საქართველოში ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთზე საკმარისი ცნობადობა არ არის. ძალიან მინდა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში გაძლიერდეს შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობა და მას მეიჯორის სტატუსი მიეცეს, ვინაიდან ჩვენს მიმართულებას საკმაოდ ბევრი სტუდენტი ირჩევს მაინორად. ენის შემსწავლელთა რიცხვიც სულ უფრო იმატებს, ამიტომ ვისურვებდი რომ ამ მნიშვნელოვან საკითხში მეც ჩემი წვლილი შევიტანო.

დღეისათვის მე და ჩემი კურსელები, ჩვენი რესურსების პირობებში, ვცდილობთ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების პოპულარიზაციას. გვაქვს ბლოგი „შეიცანი აზია“, სადაც სტატიებს ვაქვეყნებთ ძირითადად ჩინეთზე, მაგრამ სურვილი გვქვს, რომ სხვა ქვეყნებიც მოვიცვათ და ანალიტიკური სტატიები შევთავაზოთ მკითხველს.

ყოველთვის აღვნიშნავ, რომ შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მაინორად არჩევა ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მან ჩემი ძირითადი მიმართულების შევსებისა და განვითარების შესაძლებლობა მომცა. უზომოდ დიდი როლი ამ საქმეში კი ჩვენი მიმართულების ხელმძღვანელს ნანა გელაშვილს მიუძღვის. იმ მწირი რესურსების ფონზე, რაც ჩვენ მაინორს აქვს (60 კრედიტი), ქალბატონი ნანა მუდამ ცდილობს რომ მაქსიმალურად საინტერესო, ინფორმაციული და ყოვლისმომცველი კურიკულუმი შესთავაზოს სტუდენტებს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში გვაქვს კეთილმოწყობილი სინოლოგიისა და იაპონისტიკის კაბინეტი, რომელიც საელჩოების დახმარების შედეგად გარემონტდა. თსუ-ს შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულება და ქალბატონი ნანა რომ არა, მე ახლა ჩინეთში არ ვიქნებოდი.

შრომა და მონდომება აუცილებლად გამოიღებს თავის შედეგს. როდესაც დავიღლებოდი, სულ ვფიქრობდი, რომ არ მქონდა შანსი, მე არ ამარჩევდნენ და აზრი არ ჰქონდა. მაგრამ მალე მოვიდოდი ხოლმე გონს და ვიტყოდი, რომ ყველაფერი გამომივიდოდა. კარგად ვიცი შრომის, ღამის თენებისა და განათლების ფასი. ამიტომ, ყველას ვურჩევ, არასოდეს დანებდნენ, გულით მოინდომონ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც თავად ენდომებათ. ყველას მთელი გულით ვუსურვებ წარმატებას, იმიტომ რომ მიმაჩნია, განათლებული სტუდენტობა წარმატებული ქვეყნის გარანტია.

# განათლება საქართველოში – შანსი დამოუკიდებლად ცხოვრების დასაწყებად

**მესამე გვერდიდან**

და სარეგისტრაციო ფორმის შევსებას მეორე დღისთვის შევძლებდი. ძალიან ვინერვიულე. იქ მყოფები სტუდენტი ბიჭებიდან ერთმა ნომერი გამომართვა და მითხრა, როგორც კი ზაზა მეტყვის პრობლემა გამოსწორებულია, მე თვითონ დაგარეგისტრირებო. თავადაც სტუდენტია.

პრობლემა მქონდა პირველ კორპუსში, რადგან საქართველოსა და ირანს შორის ამ დროისათვის საბანკო თვალსაზრისით ურთიერთობა კარგი არ არის. რამდენიმეჯერ ვიყავი ბანკსა და უნივერსიტეტში ჩემი პრობლემის მოსაგვარებლად გადასახადთან დაკავშირებით. ამავე დროს მინდოდა კამპუსში საცხოვრებლად რეგისტრირება. უნივერსიტეტში მითხრეს, რომ გადასახადის გადახდა ფეი ბოქსითაც შემეძლო, მაგრამ რთულია 5000 ლარის ფეი ბოქსით გადახდა. ისევ ბანკში მივედი. ბანკის წარმომადგენლისა და ჩემი ფაკულტეტის წარმომადგენელს შორის საუბრის შემდეგ, როგორც იქნა გადაწყდა, რომ გადასახადს ერთჯერადად დავფარავდი. როგორც ამიხსნეს, რადგანაც ქართული „აიდი ქარდი“ არ მქონდა, ბანკის ანგარიშის ქონაც არ შემეძლო. როცა ავიღებდი, ანგარიშის გახსნა შემეძლო. შემდეგ უკვე ექსპრეს ბანკი აღმოვაჩინე, რომელიც ირანელი სტუდენტებისთვის ხსნის საბანკო ანგარიშებს.

### მამამ საკუთარი ცხოვრებით მეცხოვრა მირჩია

პირველად მედიცინის ფაკულტეტის შენობა გარედან რომ ვნახე, ცოტა შემეშინდა. შიგნიდან კარგია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იმ ქალბატონს ვესაუბრე, ვინც საერთაშორისო სტუდენტებთან აქვს ურთიერთობა.

ცუდი და კარგი ადამიანები ყველგან არიან. ხალხის უმეტესობა, ვისთანაც აქ შეხება მქონია, საკმაოდ კეთილგანწყობილია ჩემ მიმართ. მაგალითად იგივე ზაზა წაქაძე, რომელიც ასე ძალიან დამეხმარა. გარდა ამისა, ადრე, წინა ჩამოსვლაზე, ჩემი საბუთები სათარგმნად მივიტანე ერთ-ერთ ბიუროში, ინგლისურიდან ქართულად თარგმანი როგორც მითხრეს, 400 ლარი ეღირებოდა. შემდეგ ერთმა კაცმა სასტუმროდან, სადაც გაჩერებული ვიყავი, სხვა ბიურო მიმასწავლა, სადაც საბუთები 100 ლარად მითარგმნეს.

ჩემი კურსი ექვსწლიანია, მე ორი წლის განმავლობაში ვაპირებ აქ სწავლას. შემდეგ, იმედი მაქვს, რომ გრანტს მოვიპოვებ და სხვა ქვეყანაში წავალ სასწავლებლად, შესაძლოა ეს გერმანია იყოს. მშობლები, განსაკუთრებით მამა თავად მთავაზობდნენ ირანის საზღვარს მიღმა სწავლას. მამამ მირჩია სხვა ქვეყანაში წავსულიყავი სასწავლებლად და საკუთარი ცხოვრებით მეცხოვრა და ჩემით მიმეღო გადაწყვეტილებები იქ, სადაც პრობლემა არ შემექმნებოდა. უმცროსი ძმა მყავს. რომელიც ირანში პილოტების სკოლაში ჩააბარებს. მინდა სამსახური ვიშოვო, მით უმეტეს, რომ რუსული ვიცი. გარდა ამისა, ამ სემსეტრში უნივერსიტეტი უცხოენოვან სტუდენტებს ქართულის შესწავლის კურსს სთავაზობს. დარწმუნებული ვარ, რომ კარგად ვისწავლი, ისიც ვიცი, რომ მედიცინა ადვილი არ არის, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, უნდა ვისწავლო. მყავს მეგობრები თურქეთიდან, რომლებიც ასევე აქ სწავლობენ და ვისთანაც შეიძლება კარგად გავატარო დრო. მთავარია სამსახური ვიშოვო, შემიძლია გამყიდვლად ვიმუშაო რომელიმე ირანულ კომპანიაში, ან თარჯიმანთან ბიუროში.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge